ქ. თბილისის მერია

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2011 წელი

საკონკურსო განცახდება

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. **შესყიდვის ობიექტი** – ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის შედგენა.

3.საკონკურსო პრემიის (მათ შორის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის შედგენის) ოდენობა შეადგენს 5 000 ლარს (ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი);

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათიდან 2011 წლის 18 ნოემბრის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

5. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 18 ნოემბერს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

საკონკურსო პირობები

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. **კონკურსის მიზანია** – ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის შექმნა.

3. მემორიალი მიძღვნილ უნდა იქნას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილი გმირებისადმი.

ეს გმირები არიან:

1. კოტე აფხაზი, გენერალი, ანტისაბჭოთა ინტერპარტიული კომიტეტის ცენტრის ხელმძღვანელი, ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე;
2. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი;
3. ვარდან წულუკიძე, გენერალი;
4. როსტომ მუსხელიშვილი, გენერალი;
5. გიორგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი;
6. ნიკოლოზ ზანდუკელი, უმცროსი სამხედრო მოხელე;
7. სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ–მუხრანელი, როსტმისტრი;
8. ფარნაოზ ყარალაშვილი, როსტმისტრი;
9. იასონ კერესელიძე, ედპ–ს სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელი;
10. ივანე ქუთათელაძე, ედპ–ს სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე;
11. სიმონ ჭიაბრიშვილი, ედპ–ს წევრი;
12. ალექსანდრე მაჭავარიანი, პოლკოვნიკი;
13. ელიზბარ გულისაშვილი, პოლკოვნიკი;
14. ლევან კლიმიაშვილი, როსტმისტრი;
15. დიმიტრი ჩრდილელი, პოლკოვნიკი.

4. **შესყიდვის ობიექტი** – ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის შედგენა.

5.საკონკურსო პრემიის (მათ შორის პროექტის შედგენის) ოდენობა შეადგენს 5 000 ლარს (ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი);

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 . საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19_1 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

6.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

13. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 18 ნოემბერს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

14. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 14 ნოემბრის 10:00 საათიდან 2011 წლის 18 ნოემბრის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

15. საკონკურსო პრემია გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმების (არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემის) შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

16. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:

- ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილ მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრულ პროექტს;
- რეკვიზიტებს დანართი #1–ის მიხედვით;

17. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმით:

მემორიალი ვიზუალურად (გამომსახველობითი და ტექსტური ნაწილი) გვაძლევდეს ინფორმაციას 1921 წელს ბოლშევიკური რეჟიმის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დახვრეტილ მამულიშვილთა შესახებ – კოეფიციენტი – 0,8

მემორიალის მასალად გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოში არსებული საბადოები – კოეფიციენტი – 0,2

საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.

19. კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა #7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: ფატი დავითულიანი. ტელ: +99532 2 37-81-49; მარიამ ცენტერაძე. ტელ: +99532 2 37-85-72

ტექნიკური დავალება

ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტი უნდა შეიცავდეს:

ა) საკონკურსო ობიექტის არეალის ჰორიზონტალური ანაზომის გეგმა, მ 1:50;

ბ) დეტალური გეგმა ყველა ზომის მითითებით სამ ხედში და შესაბამისი ჭრილით, მ 1:50;

გ) მემორიალის ფოტომონტაჟი (ფოტომონტაჟის გასაკეთებლად საკონკურსო პირობებს თან ახლავს სურათები, სადაც შემდგომში უნდა განთავსდეს მემორიალი);

დ) განმარტებითი ბარათი, განსახორციელებელი სამუშაოები, გამოყენებული მასალებისა და პროექტის განსახორციელებლად საჭირო ყველა დეტალის ზუსტი მითითებით;

ე) პროექტის განსახორციელებლად საჭირო ყველა სამუშაოს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ყველა საჭირო გადასახადების ჩათვლით.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პროექტი გასაგები უნდა იყოს თითოეული ადამიანისთვის, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს მისი ზუსტად განხორციელება.

შენიშვნა: წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული და ციფრული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

გამარჯვებული პროექტის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა პროექტი კონკურსში მონაწილე(ებ)ს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

კონკურსანტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**თუ კონკურსანტი ფიზიკური პირია უნდა მიეთითოს პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.*

დანართი N2

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ *პროექტი*

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი **--. --. 2011 წ.**

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერია, წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის ---------- სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ „----------", წარმოდგენილი მისი დირექტორის --------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი

ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის შერჩევის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება.

1.ხელშეკრულების საგანი

ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის და აღნიშნულ პროექტზე საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.
3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 5 000 ლარს.
3.3 ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
3.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2011 წლის თბილისის ბიუჯეტით, არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის და აღნიშნულ პროექტზე საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
4.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
4.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
4.4.მიმწოდებელი ვალდებულია:
4.4.1. ქ. თბილისის მერიას საკუთრებაში გადასცეს არქიტექტურულ-მხატვრული პროექტი და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებები;
4.4.3 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
4.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

5. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

5.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.
5.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
5.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
7.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. გამოყენებული სამართალი

8.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

9.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
9.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
----------	----------

26/09/2011 04:14 PM

26/09/2011 04:14 PM

26/09/2011 04:14 PM

26/09/2011 04:15 PM

ეძ ალიმარდოვა
მეამორიალი
ბოლშევიკური რეჟიმის
მიერ დახვრეტილ
მმირთა
სახელების შეიდლამსაყოფად
26/09/2011 04:15 PM

ეძ ანიანარდია
მეშოვნალი
ბოლოვეიანერ ტვიმის
მიერ დაბერებულ
გმირი
სახელების უკვდავსაფოლად
26/09/2011 04:15 PM

26/09/2011 04:15 PM

26/09/2011 04:16 PM

ᲐᲥ ᲐᲦᲘᲜᲐᲠᲗᲔᲑᲐ
ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ
ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ
ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲚ
ᲒᲛᲘᲠᲗᲐ
ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ
26/09/2011 04:16 PM

26/09/2011 04:16 PM

26/09/2011 04:17 PM

26/09/2011 04:17 PM